

შპს „ცმლ+“

ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქალაქი გურჯაანი
2024 წლის 25 სექტემბერი

შინაარსი:

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე -----	3
საზოგადოების საქმიანობის შედეგები (მოგება-ზარალის ანგარიშგება) -----	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი) -----	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი -----	6
კაპიტალის ცვლილებების ანალიზი -----	7
განმარტებითი შენიშვნები -----	8

შპს-ის „ცმლ+„

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბრისთვის

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებაში, ერთმანეთისაგან განასხვავოს შპს-ის „ცმლ+„ მენეჯმენტისა და დამოუკიდებელი აუდიტორის პასუხისმგებლობები.

შესაძლებელი პერიოდში, მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს-ები).

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

შპს-ის „ცმლ+„

დირექტორი



/გიორგი უტიაშვილი/

შპს „ცმლ+“ (საიდენტიფიკაციო N427731387)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ამონაგები	4.5.1.	3,835,759	3,051,343
სხვა შემოსავალი	4.5.3.	25	5,243
არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯი	4.5.4.	- 288	218
სულ შემოსავალი		<u>3,835,496</u>	<u>3,056,803</u>

ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ
ფასეულობებში: მზა პროდუქცია და
დაუმთავრებელი წარმოება

გამოყენებული ნედლეული და მასალები	4.5.5.	- 2,827,130	- 2,308,929
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა	4.5.6.	- 350,949	- 341,216
გასამრჯელოები			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	4.5.7.	- 17,481	- 14,152
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო	4.5.9.	- 329,784	- 333,750
ხარჯები			
ფინანსური დანახარჯები	4.5.10.	- 22,213	- 46,209
მიმდინარე პერიოდის ზარალი		<u>287,939</u>	<u>12,546</u>
მოგების გადასახადი	4.5.12.	-	-
მიმდინარე პერიოდის ზარალი		<u>287,939</u>	<u>12,546</u>

გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში 390 579 378 033

დივიდენდები

კაპიტალის სხვა ცვლილებები

გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს 678 518 390 579

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:

შპს-ის „ცმლ+“

დირექტორი

გ. ტყეშელაშვილი

/გიორგი უტიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი



/ნანა გოგებაშვილი/

შპს „ცმლ+“ (საიდენტიფიკაციო N427731387)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ფულადი სახსრები	3.5.1.	19431	11702
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3.5.2.	48494	30087
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	3.5.3.	7508	7480
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	3.5.4.	703470	565247
საგადასახადო აქტივი	3.5.7.	10702	6631
სულ მიმდინარე აქტივები		789605	621147

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	3.5.11.	289339	243514
სულ გრძელვადიანი აქტივები		289339	243514

სულ აქტივები

1078944 864661

ვალდებულებები და საკუთარი

კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები	3.5.16.	65890	38119
მიღებული ავანსები	3.5.18.	70562	43503
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3.5.20.	206800	202699
სულ მიმდინარე ვალდებულება		343251	284321

გრძელვადიანი ვალდებულება

სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		57175	189762
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		57175	189762
სულ ვალდებულება		400426	474082

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება	3.5.21.	678518	390579
სულ კაპიტალი		678518	390579

სულ ვალდებულებები და საკუთარი

1078944 864661

კაპიტალი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:
შპს-ის „ცმლ+“

დირექტორი

[Handwritten Signature]

მთავარი ბუღალტერი

[Handwritten Signature]



/გიორგი

უტიაშვილი/

/ნანა

გოგებაშვილი/

შპს „ცმლ“ (საიდენტიფიკაციო N427731387)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2023 წელი	2022 წელი
საოპერაციო საქმიანობა		
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,538,613	3,577,287
მიღებული ავანსები	-	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	4,538,613	3,577,287
მომწოდებელზე გადახდილი თანხები	(3,131,632)	(2,520,835)
შრომის ანაზღაურება	(604,234)	(593,184)
მყიდველებიდან თანხის უკან დაბრუნება	(971)	(9,410)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(139,817)	(92,114)
გადახდილი გადასახადები	(498,034)	(376,680)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	163,925	(14,936)
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
შვილობილი საწარმოს კაპიტალის შემცირება	-	-
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	-	-
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	-	-
სხვა საწარმოს წილის შესაძენად გაცემული ფულადი სახსრები	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-	-
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	361,375	169,900
სადაზღვევო შემოსავლები	-	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	-
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	361,375	169,900
ფულადი სახსრების გასვლა სასესხო ვალდებულებების დასაფარად	(494,436)	(173,540)
სესხის პროცენტის გადახდა	(22,478)	-
სხვა ფინანსური ხარჯები	-	-
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(155,539)	(3,640)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	8,386	(18,576)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	11,045	29,621
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	19,431	11,045

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:

შპს-ის „ცმლ“

დირექტორი *გ. ჯიქია*

მთავარი ბუღალტერი *მ. მ.*



/გიორგი
უტიაშვილი/

/ნანა
გოგებაშვილი/

შპს „ცმლ+“ (საიდენტიფიკაციო N427731387)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის		231,881		231,881
მოგება / (ზარალი)		146,152		146,152
დივიდენდის გამოცხადება		0		0
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის		378,033		378,033
მოგება / (ზარალი)		12,546		12,546
დივიდენდის გამოცხადება		0		0
ნაშთი 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის		390,579		390,579
მოგება / (ზარალი)		287,939		287,939
დივიდენდის გამოცხადება		0		0
ნაშთი 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის		678,518		678,518

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:
შპს-ის „ცმლ+“

დირექტორი

გ. ჯიქიაშვილი

/გიორგი
უტიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი



/ნანა
გოგებაშვილი/

შპს „ცმლ+“ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ცმლ+“, როგორც კერძო სამართლის იურდიული პირი, 2018 წლის 16 იანვარს „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებული/რეორგანიზებული იქნა საჯარო რეესტრის გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ რეგისტრაციის # B18188516. თარიღი: 05/09/2016

საზოგადოების საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვაზე აყვანა) განახორციელა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ და მიანიჭა გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი: 427731387; დღგ-ს გადამხდელია 25 დეკემბერი 2018 წელი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი:

- გიორგი უტიაშვილი - წილი 100 %

ანგარიშგების მომზადების დროს იურდიულ მისამართს წარმოადგენს: საქართველო ; ქ.გურჯაანი თელავის ქუჩა N4.

ფაქტიური მისამართებია:

- ქ.გურჯაანი; თავისუფლების ქუჩა N148
- ქ.ლაგოდეხი; ზაქათალას 2 ე
- წნორი; აღმაშენებლის ქუჩა N9

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ავეჯით 30 % და წარმოება-რეალიზაცია 70%; ვაწარმოებთ: რბილი ავეჯი; საძინებლები; სამზარეულოებს; რკინის ნაწარმი(მაგიდა-სკამები).

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები არ გააჩნია.

01.01.2023 წლისათვის საზოგადოებაში მუშაობდა 51 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის 01.01.2024 წლისათვის 48 თანამშრომელი

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2018 წლის რედაქციის მიხედვით.

წინამდებარე ანგარიშში წარმოადგენს საზოგადოების სრულ ფინანსური ანგარიშგებას. ამასთან, 2018 წლიდან ბარდებოდა მეოთხე კატეგორიის საწარმოების ანგარიშგებას, ხოლო 2022 წლიდან უკვე აბარებს მესამე კატეგორიის მსს ფასს სტანდარტით გათვალისწინებულ ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებას არ გაუუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე.

წლიური ფინანსური ანგარიშგება ემყარება დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების

საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასება უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების საღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი (სამუშაო) ვალუტა არის ეროვნული ვალუტა და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტაში - ლარი, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკოტეხისა და მონეტებისაგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში, როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ექვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითად საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთად ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივზე

ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლოატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია შემცირებადი ნაშთის მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თავდაპირველ (ისტორიული) ღირებულებას აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

სასაქონლო - მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო - მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოებასაქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთი არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს დამფუძნებლისთვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე, გადაწყვეტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც უბრალოდ იჯარა განახლდება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა.

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ვალუტის სახეობა	31/12/2022	31/12/2023
1 აშშ დოლარი	2.702	2.6894

3.5. დამატებითი განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესახებ;

3.5.1. ფულადი სახსრები

ფული და ფულის ეკვივალენტები

დასახელება	31.12.2023 წ მდგომარ.	31.12.2022 წ მდგომარ.
ნაღდი ფული საღაროში	386.38	3,598.93
ერ. ვალუტა საბანკო ანგარიშზე	2,743.34	7,446.11
ერ. ვალუტა საბანკო ანგარიშზე	1,075.00	657.00
დეპოზიტები საბანკო ანგარიშზე	14,848.00	
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშზე	378.13	
ჯამი	19 431	11 702

3.5.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები

დასახელება	31.12.2023 წ მდგომარ.	31.12.2022 წ მდგომარ.
მოთხ. მიწოდებიდან და მომსახურ.	48,493.75	30,086.75
ჯამი	48 494	30 087

3.5.3. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსები

დასახელება	31.12.2023 წ მდგომარ.	31.12.2022 წ მდგომარ.
მომწოდ. გადახდილი ავანსი	5,209.25	5,680.49
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	2,299.00	1,800.00
ჯამი	7 508	7 480

3.5.4. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

დასახელება	31.12.2023 წ მდგომარ.	31.12.2022 წ მდგომარ.
საქონელი	272,091	126,466
ნედლეული და მასალები	318,329	277,896
მზა პროდუქცია	113,050	160,885
ჯამი	703 470	565 247

3.5.5. წინასწარ გაწეული ხარჯები (მოგების გადასახადი)

წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი

დასახელება	31.12.2023 წ მდგომარ.	31.12.2022 წ მდგომარ.
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი	0.00	0.00
ჯამი	0.00	0.00

3.5.6. გაცემული სესხები

გაცემული სესხები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
მოკლევადიანი სესხები	0.00	0.00
ჯამი	0.00	0.00

3.5.7. საგადასახადო აქტივი

სხვა საგადასახადო აქტივი

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
ერთიანი სახაზინო ანგარიში	10,702	6,631
ჯამი	10 702	6 631

3.5.8. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
ანარიცხ. დაგროვებით საპენ. ფონდში	0.00	0.00
ჯამი	0.00	0.00

3.5.9. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	0.00	0.00
ჯამი	0.00	0.00

3.5.10. საინვესტიციო ქონება

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
მანქანა-მოწყობილობები	0.00	0.00
მანქანა-მოწყობილობების (კვეთა)	0.00	0.00
ჯამი	0.00	0.00

3.5.11. ძირითადი საშუალებები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
იჯარით აღებული ქონების	68,871	67,615
კეთილმოწყობა		
იჯარით აღებული ქონების	-10,068	-6,676
კეთილმოწყობა		
მანქანა-მოწყობილობები	208,820	141,505
მანქანა-მოწყობილობების (კვეთა)	-38,140	-24,324
ოფისის აღჭურვილობა	1,097	1,097
ოფისის აღჭურვილობის (კვეთა)	-737	-518
ავეჯი და ინვენტარი	17,079	17,079
ავეჯის და ინვენტარის (კვეთა)	-10,659	-7,299
სატრანსპორტო საშუალებები	63,474	60,508
სატრანსპორტო საშუალებების (კვ.)	-10,398	-5,473
ჯამი	289 339	243 514

3.5.12. არამატერიალური აქტივები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
პროგრამული უზრუნველყოფა	0.00	0.00
პროგრამული უზრუნველყოფა (კვეთა)	0.00	0.00
ჯამი	0.00	0.00

3.5.13. გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
წილის საკონტროლო პაკეტი	0.00	0.00
ჯამი	0.00	0.00

3.5.14. სხვა გრძელვადიანი აქტივები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0,00	0,00
ჯამი	0,00	0,00

3.5.15. გადავადებული საგადასახადო აქტივი

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	0,00	0,00
ჯამი	0,00	0,00

3.5.16. სავაჭრო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
ვალდებულებები მოწოდებიდან	65,890	38,119
ჯამი	65 890	38 119

3.5.17. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
გადასახდელი მოგების გადასახადი	0,00	0,00
ჯამი	0,00	0,00

3.5.18. მიღებული აგანსები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
მიღებული აგანსი	70,562	43,503
ჯამი	70 562	43 503

3.5.19. შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებული ვალდებულებები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
ვალდებულება წილის შესყიდვიდან	0.00	0.00
ჯამი	0.00	0.00

3.5.20. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
საგადასახადო ვალდებულებები.	74 824	69 273
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1	81
ფინანსური ვალდებულებები	131,975	133,345
ჯამი	206 800	202 699

3.5.21. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
სასესხო ვალდებულებები	57 175	189 762
ჯამი	57 175	189 762

3.5.22 კაპიტალი

დასახელება	31.12.2023 წ. მდგომარ.	31.12.2022 წ. მდგომარ.
მიმდინარე მოგება / დაუფარავი ზარალი	287 939	12 546
გაუნაწილებელი მოგება	390 579	378 033
ჯამი	678 518	390 579

4. განმარტებითი შენიშვნები საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაზე;

- 4.1. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში შეტანილია 2022-2023 წლების საქმიანობის შედეგები;
- 4.2. წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შემდგომი პერიოდში გამოვლენილი წინა წლების მაკორექტირებელი მოვლენებს ადგილი არ ქონია;
- 4.3. 2022 წლის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულია – 12 546 ლარი მოგება;
- 4.4. 2023 წლის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულია – 287 939 ლარი მოგება;

4.5. დამატებითი განმარტებები საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაზე;

4.5.1 ამონაგები:

დასახელება	2023 წ.	2022 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	3 834 059	3 051 343
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1 700	0
ჯამი	3 835 759	3 051 343

4.5.2 მიღებული დივიდენდები:

დასახელება	2023 წ.	2022 წ.
მიღებული დივიდენდები	0.00	0.00
ჯამი	0.00	0.00

4.5.3 სხვა შემოსავლები:

დასახელება	2023 წ.	2022 წ.
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	25	5 243
ჯამი	25	5 243

4.5.4 არასაოპერაციო შემოსავლები:

დასახელება	2023 წ.	2022 წ.
არასაოპერაციო შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	1 748	350
არასაოპერაციო ზარალი საკურსო სხვაობიდან	-2 036	-133

ჯამი

-288

218

4.5.5 გამოყენებული ნედლეული და მასალები:

დასახელება	2023 წ	2022 წ
წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება	-1 367 922	-1 255 720
საქონლის თვითღირებულება	-1 459 208	-1 053 209
ჯამი	-2 827 130	-2 308 929

4.5.6 თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები:

დასახელება	2023 წ	2022 წ
შრომის ანაზღაურება	-344 660	-335 497
საპენსიო შენატანი	-6 286	-5 725
საპენსიო შენატანი	-3	5
ჯამი	-350 949	-341 216

4.5.7 ამორტიზაცია:

დასახელება	2023 წ	2022 წ
ვვეთა და ამორტიზაცია	-17 481	-14 152
ჯამი	-17 481	-14 152

4.5.8 აქტივების გაუფასურება:

გაუფასურების ხარჯი/რევერსირება სავაჭრო მოთხოვნებზე

დასახელება	2023 წ	2022 წ
გაუფასურების ხარჯი/რევერსირება	0	0
ჯამი	0	0

4.5.9 ადმინისტრაციული და დხვა საოპერაციო ხარჯები:

სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები

დასახელება	2023 წ	2022 წ
რეკლამის ხარჯები	-291	
ჯამი	-291	

დასახელება	2023 წ	2022 წ
საკონსულტაციო მომსახურება	-500	
ჯამი	-500	

დასახელება	2023 წ	2022 წ
ტრანსპორტირების ხარჯი (საწვავი)	-39 833	-33 746
ჯამი	-39 833	-33 746

საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა

დასახელება	2023 წ	2022 წ
ქონების, გარდა მიწისა გადასახადი	-2 299	-1 800
ჯამი	-2 299	-1 800

კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი

დასახელება	2023 წ	2022 წ
ელექტროენერგიის ხარჯი	-18 166	-11 784
ბუნებრივი გაზის მოხმარება	-3 022	-2 925
ტელეფონის ხარჯი	-355	-565
ინტერნეტის ხარჯი	-605	-600
დასუფთავების ხარჯი	-2 038	-2 547
ჯამი	-24 186	-18 421

იჯარის ხარჯი

დასახელება	2023 წ	2022 წ
იჯარის ხარჯი	-132 199	-161 440
ჯამი	-132 199	-161 440

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

დასახელება	2023 წ	2022 წ
------------	--------	--------

დაზღვევის ხარჯები	-8 208	-6 684
სხვა ხარჯი	-44	0
განვადების ხარჯი	-82 953	-66 551
საწვავის ხარჯები	-254	0
შრომის უსაფრთხოების ხარჯები	-4 068	-2 983
იუსტიციის მომსახურება	-484	0
ბანკის მომსახურება	-6 778	-2 183
პროგრამის იჯარის ხარჯი	-3 746	-3 407
თანამშრომლების ხარჯები	-2 488	-3 533
GPRS მომსახურება	-405	-533
ადმინისტრაციული ჯარიმები	-3 509	-2 262
საკანცელარიო ხარჯები	-1 382	-1130
საყოფაცხოვრებო ხარჯი	0	-23 559
დანადგარების ხარჯები	0	-821
სამეურნეო ხარჯი	-16 157	-4 697
ჯამი	-130 476	-118 343

4.5.10 ფინანსური დანახარჯები

დასახელება	2023 წ	2022 წ
სხვა ფინანსური ხარჯები	-22 213	-46 209
ჯამი	-22 213	-46 209

4.5.11 არასაგადასახადო ხარჯები

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

დასახელება	2023 წ	2022 წ
მოგება/ზარალი ძ/საშ. რეალიზაც.	0	0
უსასყიდლოდ მიღებული ფასეულობა	0	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	0	0
ჯამი	0	0

4.5.12 მოგების გადასახადი

დასახელება	2023 წ	2022 წ
ყოველთვიური მოგების გადასახადი		
ჯამი		

შპს ცმლ+

დირექტორი

[Handwritten signature]

გიორგი უტიაშვილი

მთ.ბუღალტერი

[Handwritten signature]

ნანა გოგებაშვილი



შპს „ცმლ+ -ს დირექციის“ მმართველობითი ანგარიში

შპს „ცმლ+ -ს დირექცია“ (საიდენტიფიკაციო N427731387)

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა – ავეჯით საცალო ვაჭრობა 30% და წარმოება 70%;
ვაწარმოებთ როგორც სამზარეულოებს ასევე გვაქვს საძინებლების მრავალფეროვანი არჩევანი; რბილი
ავეჯი; ვამზადებთ როგორც შეკვეთით ასევე გვაქვს სერიული გამოშვება;

2. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

2.1. შპს „ცმლ+“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს ერთი პირის საწარმოს, რომელიც
დაფუძნებულია ერთი ფიზიკური პირის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და
რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2016 წლის 09
სექტემბერს, რეგისტრაციის № # B18188516;

2.2. საწარმოს დამფუძნებელი-პარტნიორია გიორგი უტიაშვილი, რომელიც ფლობს 100%-იან
წილს საწარმოს კაპიტალში;

3. კომპანიის სტრუქტურა:

3.1. კომპანიას გააჩნია შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

- ♦ ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილება;
- ♦ ტექნიკური დიზაინის და პროექტირების განყოფილება;
- ♦ ანალიზისა და საინფორმაციო მონაცემთა განყოფილება;
- ♦ შესყიდვების და გაყიდვების განყოფილება;
- ♦ ეკონომიკური და ადმინისტრაციის სამსახურები.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს კახეთის რეგიონს;

4. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

4.1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა სპეციფიურია და მომსახურების ძირითადი
მომხმარებელი კერძო სექტორია.

- ♦ კომპანიას გააჩნია დიდი გამოცდილება და ტექნიკური რესურსი;
- ♦ კომპანიაში დაკომპლექტებულია როგორც მაღალი კვალიფიკაციის გამოცდილი
ხელოსნებით, ასევე პერსპექტიული ახალგაზრდა კადრებით, ხდება მათი გადამზადება
კვალიფიციური ხელოსნების მეთვალყურეობით;

♦ კომპანიას გააჩნია პრაქტიკულად ყველა ტექნიკური საშუალება მომსახურების მაღალ
დონეზე გასაწევად;

♦ კომპანია სისტემატიურად ეცნობა საზღვარგარეთის გამოცდილებას ავეჯის წარმოების
გასაუმჯობესებლად; ასევე ვცდილობთ შემოვიტანოთ მზა ავეჯი თურქეთის რესპუბლიკიდან;

4.2. ზემოთ აღნიშნული რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიის გადაწყვეტილების
შესაბამისად ხორციელდება საინვესტიციო ქონების შესყიდვა, რამაც უნდა უზრუნველყოს
კომპანიის დამატებითი საინვესტიციო შემოსავლების გაზრდა.

4.3. კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმო;

5. საქონლის გაყიდვის მიწოდების დინამიკა:

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის საქმიანობის უკეთ აღქმის მიზნით, ქვემოთ ცხრილში მოცემულია მომსახურების მიწოდების დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში, მათ შორის უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებით:

საქონლის გაყიდვების მიწოდების ყოველწლიური დინამიკა

პერიოდი	ბრუნვა ეროვნულ ვალუტაში	კურსი წლის ბოლო დღისათვის	ბრუნვა აშშ დოლარში
2023	3 835 759	2,8068	1 366 595
2022	3 051 343	2,7020	1 129 291
2021	3 406 551	3,0976	1 099 739
2020	1 939 187	2,6766	724 496
2019	980 246	2,8677	341 823
2018	0	2,6766	0

6. მონაწილეობა გარემოს დაცვის პროგრამებში

კომპანიის საქმიანობის ერთერთი შემადგენელი ნაწილია საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული გარემოსდაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებული სამუშაოების ხარისხზე და მოცულობაზე ზედამხედველობა.

7. სოციალური პროექტები:

7.1. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას, სხვადასხვა დახმარებებს და თანამშრომელთა წახალისების პროგრამებს. ამასთან, ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომელთა შენარჩუნება. მეტიც, ეკონომიკური კრიზისისა და შემოსავლების შემცირების მიუხედავად თანამშრომელთა ხელფასების შემცირება არ განხორციელდა, რაც თვალნათლივ ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მაჩვენებლების დასახელება	2023 წ	2022 წ	2021 წ	2020 წ
დასაქმებულთა საშ. წლიური საერთო რაოდენობა	48	51	49	27
მ.შ. კაღები	11	11	7	4
შრომის ანაზღაურების ხარჯები	350 949	341 216	306 760	53 575

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს.

შპს-ის „ცმლ+“

დირექტორი

[Handwritten signature]



/გიორგი უტიაშვილი/